ПРЕЗИДЕНტი

ისტორიული პროცესის დაწყებას საქართველო სრული მზადყოფნით ხვდება

14 იანვარს ფოთის ნავსადგურში შემოვიდა პირველი გემი, რომელმაც „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის“ მშენებლობისათვის საჭირო მასალები – მილები და სხვა ტექნიკური მოწყობილობები შემოიტანა. 22 იანვარს ანალოგიური გვირთი შემოვა ბათუმის ნავსადგურში. გვირთები განსაზღვრულია მშენებლობისათვის როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე აზერბაიჯანში.

იხ. №0-2 გვ.

ДЕРЕФАНი

ნავთობსადენის მილები ფოთშია

„14 იანვარი ერთგვარ ნიშანსვეტად და ათვლის წერტილად იქცევა“ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მთავარი საექსპორტო ნავთობსადენის პროექტის რეალიზაციის საქმეში, – ასე შეაფასა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავის გრანდიოზულ ორშაბათის რადიოინტერვიუში ეს დღე, დღე, როდესაც ხორცი ესხმება უდიდესი ძალისხმევის ნაყოფს, რომელიც ამ წლების განმავლობაში გასწიეს საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა, თურქეთის ლიდერმა, შემდეგ კი პროექტში მონაწილე კომპანიებმა.

და, აი, ღირსშესანიშნავი მოვლენა: 14 იანვარს, 16 საათსა და 35 წუთზე ფოთის ნავსადგურის მეოთხე ნავმისადგომს მოადგა ინდონეზიის ნავსადგურ კუანტანიდან შემოსული საგვირთო გემი „კალედონია“. გემი, რომელიც მალგის დროშით დაცურავს, ინდონეზიიდან გასული წლის 19 დეკემბერს გამოვიდა. იგი ხუთი დღის განმავლობაში იგვირთებოდა ინდონეზიის წარმოების მილებით. „კალედონიამ“ საქართველოში ჩამოიგანა 2482 ცალი მილი, რომლის საერთო წონა 11 ათას 407 ტონას შეადგენს.

ფოთის ნავსადგური ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა გვირთის მიღებას. ეს მილები განკუთვნილია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის აშენებისა და ექსპლუატაციისათვის და ისინი ფოთიდან აზერბაიჯანში გაიგზავნება.

საქინფორმი.

მკითხველი და გაზეთი

ყველას დიდი მადლობა

ბევრ ახალ წლამდე არ შეწყვეტილა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში საშობაოსაახალწლო მილოცვების ნაკადი. მეითხველები ისევ და ისევ გულთბილად გვილოცავენ 2003 წლის დადგომას და, კეთილ სურვილებთან ერთად, მრავალ საქმიან წინადადებასაც გვთავაზობენ, რათა ჩვენმა გაზეთმა პირნათლად მოიხადოს ის ვალი, რომელსაც მას ქვეყნის, ხალხის სამსახური აკისრებს.

გაზეთსა და მის თანამშრომლებს ახალი წლის შემობრძანება მიულოცეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეებმა ვახტანგ რწეულიშვილმა და ვახტანგ ყოლბაიამ, საქართველოს კონგრესის პალატის თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა, მეითხველებმა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხიდან, რაც რედაქციის თითოეული ჟურნალისტისათვის, ყოველი თანამშრომლისათვის დიდი სტიმულია მომავალი საქმიანობისათვის.

კვლავ დიდ მადლობას მოვახსენებთ ყველას და ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ახალ-ახალ წარმოგებებს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელში და სხვა ქვეყნებში.

„დილა ამ გაზეთის გადამლით დაიწყეთ...“ ალექსი ჭავჭავაძე

საქართველოს რესპუბლიკა

სნსკ

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №12 (4391) ოთხშაბათი, 15 იანვარი, 2003 წელი. ფასი 50 თეთრი.

КОРუფцИИს წინააღმდეგ

აქციობას დავიბრალებ, წავალ მივლინებამი...

საპატრიოტო გრანსპორტით მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მძღოლთა სამედიცინო მომსახურების შეცვლის აუცილებლობას, ამასთან კეთდება ცდა შემოგვთავაზონ მივიღოთ ე. წ. „ხუთჯვრიანი“ დროშა, რომელიც თითქოს დღესაც ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა იყო. ამ საკითხის ინიციატორად გამოვიდა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი.

სრულიად მოულოდნელი იყო, რომ აღნიშნული დებულების წინააღმდეგ გამოვიდა პარლამენტის წევრი გურამ მარაძე. ის ძირითადში სწორ პოზიციის ანვითარებს, მაგრამ ამკარა შეცდომას მაინც ვერ აცდა, როდესაც ეს „ხუთჯვრიანი“ დროშა „მასონური“ მინაარსისად გამოაცხადა. გურამ მარაძემ, ეტყობა, არ იცის, რა არის მასონობა. ეს სავსებით სამართლიანად აღნიშნა მისმა უწმიდესობამ, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II.

იხ. №0-4 გვ.

ორბიტაზე

საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის კიდევ ერთი გამოვლინება

პარიზში 14 იანვარს გამართულ ევროპის საბჭოს მონიტორინგის კომიტეტის სხდომაზე რუსმა პარლამენტარმა სრულიად დაუსაბუთებელი და ცილისმწამებლური განცხადება გაკეთდა. როგორც საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს პარლამენტის წევრმა, მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთმა ლიდერმა არმაშ ახვლედიანმა პარიზიდან აცნობა, სხდომაზე სოხუმი-სოჭის მიმართულებით სარკინიგზო მიმოსვლის აშოქმედებასთან დაკავშირებით მსჯელობისას, რუსეთის სათათბიროს წევრმა ლეონიდ სლუცკემ განაცხადა, რომ საქართველოს არა აქვს არც სურვილი და არც საშუალება თავად გადაჭრას აფხაზეთის კონფლიქტი. სლუცკის ინფორმაციით, თითქოსდა რკინიგზის ამ მონაკვეთის ამოქმედება საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელთან იყო შეთანხმებული. „რუსი დეპუტატის ეს განცხადება უარგენტგო და არაობიექტურია და ეს გადაწყვეტილება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა შეთანხმებული ყოფილიყო საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან,“ – განაცხადა არმაშ ახვლედიანმა სხდომაზე. „ამ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის პასპორტების თვითნებურად გაცემის ფაქტები რუსეთის მხრიდან საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის კიდევ ერთი გამოვლინებაა. რუსეთი კვლავ ორმაგი სტანდარტით ხელმძღვანელობს“.

მონიტორინგის სხდომაზე ევროპელმა პარლამენტარებმა ემოციურად დადებითი განწყობილება გამოხატეს საქართველოსადმი და შრომატეხერა აღუთქვეს ქართველ დეპუტატს არმაშ ახვლედიანს პრობლემატური საკითხების მოგვარებაში.

აღსანიშნავია, რომ ამას წინათ საქართველოში ევროპის საბჭოს ეგიდით იმყოფებოდა სამმხრივი მისია – საქართველო-რუსეთი-ევროპის საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობდა კრისტა ლორხენი. ევროპელმა პარლამენტარებმა საკმაოდ წარმატებულად შეაფასეს ამ მისიის საქმიანობა პანკისის ხეობაში შექმნილი სიტუაციის შესწავლის თვალსაზრისით და მიიჩნიეს, რომ მისიის მანდატი შემდგომშიც უნდა გაგრძელდეს, რომ რაიმე გარეგებრობა ორ სახელმწიფოს შორის თავიდან იქნეს აცილებული.

15 იანვარს საფრანგეთის დედაქალაქში გაიმართება ევროპის საბჭოს პოლიტიკური კომიტეტის სხდომა, რომელშეც პარლამენტარები არმაშ ახვლედიანი და შურაბ ყვანია დასვამენ საკითხს იმასთან დაკავშირებით, რომ იანვრის დამლევს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ დღის წესრიგში დამატებით საკითხად შეიტანოს სოხუმი-სოჭის სარკინიგზო მიმოსვლის განახლებასთან დაკავშირებით. რუსეთის მხარემ განაცხადა, რომ მიმოსვლის აღდგენის ინიციატორად აფხაზურ მხარეს ეკუთვნის, სამგზავრო შემადგენლობა კი შეძენილია კერძო ინვესტორის სახსრებით.

სპორტების გაცემის ყოველდ დაუშვებელი ფაქტების შესახებ.

საქინფორმი.

DOKუმენტი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 13 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად 2003 წლის 17 იანვრიდან მოწვეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესია.

ედუარდ შევარდნაძე.

MILOCვა

საქართველოს თეატრალური მოღვაწეების ფოთის თავყრილობის მონაწილეებს, საქართველოს თეატრების ყოველ თანამშრომელს, თეატრის ყოველ ქომაგს

ქალბატონებო და ბატონებო,

ქართული თეატრის დღეს გილოცავთ. ჩვენი კულტურის მეტად მნიშვნელოვან დღეს...

ქართულ სინამდვილეში თეატრი ყოველთვის იყო თეატრიც და კიდევ უფრო მეტი. იგი ასეთად რჩება დღესაც – რთულსა და ძნელ პერიოდში – საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდში.

დღეს, მატერიალური გაჭირვების მიუხედავად, ქართული თეატრალური ხელოვნება უფრო დიდ წარმატებას აღწევს და მსოფლიო კულტურის მნიშვნელოვან მოვლენად გვევლინება...

განსაკუთრებულ მოვლენად მიმაჩნია ის, რომ თქვენი თავყრილობა ფოთში იმართება, დიდი თეატრალური გრძედიეების ქალაქში.

ვიცი, სწორედ ფოთში მოხდება შარშანდელი თეატრალური სეზონის შეჯამება, პრემიების გადაცემა, სპექტაკლების განხილვა.

ყველა გამარჯვებულს ვულოცავ...

ჩემმე უკეთ იცით, რომ ყოველი თქვენგანის ჯილდო არასდროს არაა მხოლოდ თქვენი, იგი იმ მაყურებლისაცაა, ვისთვისაც დაიხარჯეთ და ვისთან ურთიერთობის დროსაც შექმენით თეატრალური სასწაული.

თქვენთან ერთად მასაც ვულოცავ ამ დღეს და გისურვებთ გამგები და მოსაყვარულე მაყურებელი არასდროს მოგკლებოდეთ, არასდროს დადგილიყვეთ ძიებით და მუდამ ერთგული ყოფილიყვეთ თქვენი დიდი ეროვნული მისიისა.

პატივისცემით, ედუარდ შევარდნაძე.

MOძღოლთა სამედიცინო დაზღვევის მიზნით, შპს „ტრანსმედმა“ 2000 წლის 9 დეკემბერს გააფორმა ხელშეკრულება სადაზღვევო კომპანია „ნაბათთან“, რომელსაც აუნაზღაურდა 58439 ლარი, მაგრამ საზოგადოებაში შესაბამისი აღრიცხვის დოკუმენტების არარსებობის გამო იმის დადგენა, თუ რა დასახელებისა და ღირებულების წამლები გადასცა „ნაბათმა“ საზოგადოების სამედიცინო პუნქტებს, კონტროლის პალატის სპეციალისტებმა ვერ შეძლეს.

TარიLი

ჩვენი გაზეთის მე-3 გვერდზე დღეს გთავაზობთ გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის 140 წლის იუბილესადმი მიძღვნილ აკადემიკოს როინ მეტრეველის წერილს „დვთისკაცი“.

იხ. №0-3 გვ.

FINანსები

ვინ წარადგენს პარლამენტში სოლონის კანონს?

შესაძლებელია თუ არა მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდა?!

კიდევ ერთი წელი გავლიეთ კინკლაობასა და ლანძღვა-გინებაში, ვერა და ვერ გამოგვაფუზიშლა ურთულესმა ვითარებამაც და საქვეყნო საქმეს ისევ საკუთარი ჭუჭრუტანიდან ვუყურებდით. თითქოს ჩვენს დღევანდელ ურთიერთგაგებანლობას, უკურნებელ ეროვნულ ხენს უჩიოდეს შემაგიანე, ისე ძველრს საუკუნეების წინათ წარმოთქმული მისი სიტყვები: „საქართველოს დარბაისელნი... არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანასა და ამით მტერმა უფრო ძალა წამოაგანა და დაჩაგრა, თორემ თუ ამათ ერთი პირი ჰქონოდათ, ვერცარას უბამდნენ, ვერც არას მტერი წაართმევდა რასმე, ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესიხსნელობით გათავებულა და წამხდარა, მაგრამ ამ საქმეს არც მოკლებიან და არც მოუშლიათ“.

იხ. №0-2 გვ.

DისკუსიA

„ხუთჯვრიანი“ დროშა არასოდეს ყოფილა საქართველოს სახელმწიფო დროშა

უპირველეს ხანებში, სხვა სადავო და მოგჯერ ამკარად ხელოვნურად პოლიტიზებულ საკითხად იქცა საქართველოს სახელმწიფო დროშის შეცვლის აუცილებლობა, ამასთან კეთდება ცდა შემოგვთავაზონ მივიღოთ ე. წ. „ხუთჯვრიანი“ დროშა, რომელიც თითქოს დღესაც ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა იყო. ამ საკითხის ინიციატორად გამოვიდა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი.

სრულიად მოულოდნელი იყო, რომ აღნიშნული დებულების წინააღმდეგ გამოვიდა პარლამენტის წევრი გურამ მარაძე. ის ძირითადში სწორ პოზიციის ანვითარებს, მაგრამ ამკარა შეცდომას მაინც ვერ აცდა, როდესაც ეს „ხუთჯვრიანი“ დროშა „მასონური“ მინაარსისად გამოაცხადა. გურამ მარაძემ, ეტყობა, არ იცის, რა არის მასონობა. ეს სავსებით სამართლიანად აღნიშნა მისმა უწმიდესობამ, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II.

იხ. №0-5 გვ.

Дსნ სამიგი – უკრაინაში

თანამშრომლობს მონაწილე სახელმწიფოთა შეთავრების მორიგი, მეოთხე არაფორმალური სამეგი გაიმართება 28-29 იანვარს ივანო-ფრანკოვსკის ოლქში (დასავლეთი უკრაინა) სახელმწიფო რეზიდენციაში „სანეგორა“. მოსალოდნელია, რომ კარპატებში პრეზიდენტები განხილავენ ამ საკითხების განხილვას, რომლებიც ეხება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას. თანამეგობრობის ლიდერთა არაფორმალური შეხვედრები არ გულისხმობს სახელმწიფოთა შორის დოკუმენტებზე ხელის მოწერას, ისევე, როგორც არ არის გათვალისწინებული ოფიციალური დღის წესრიგი.

აპარიკა გაზსადენზე ლიკვიდირებულია

ბაკმს მიწოდება საქართველოში, რომელიც შეწყდა მაგისტრალურ მილსადენზე „ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიაზე“ მოხდილი ავარიის გამო, 14 იანვარს განახლდა. როგორც საქინფორმის კორესპონდენტმა შეიტყო ჩრდილოეთ ოსეთის სანგენებო სიგუაციათა სამინისტროში, გაზსადენზე ცეცხლი გაჩნდა ბბარის გამო. ცეცხლი ლოკალიზებულია. ამავე დროს, რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს საშრეთ რეგიონალურ ცენტრში, მაგისტრალურ მილსადენზე „ჩრდილოეთი კავკასია-ამიერკავკასია“ გაბის გაკონვის გამო მოხდა აფეთქება, შემდეგ კი გაჩნდა სანძარი. საგანგებო შემთხვევა მოხდა სამშაბათს დილის 4 საათზე ჩრდილოეთ ოსეთში, რუსეთ-მეთ ლარსის სამხრეთით.

საქართველოს პრეზიდენტის დავალებით

საქართველოს პრეზიდენტის დავალებით გრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი მერაბ ადეიშვილი ჩავიდა მოსკოვში, სადაც მოლაპარაკებას გამართავს რუსეთის მხარესთან სოხუმსა და სოჭს შორის სარკინიგზო მიმოსვლის განახლებასთან დაკავშირებით.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის გუგუმაგნა საპროტესტო ნოტა სოხუმ-სოჭის სარკინიგზო მიმოსვლის განახლებასთან დაკავშირებით. რუსეთის მხარემ განაცხადა, რომ მიმოსვლის აღდგენის ინიციატორად აფხაზურ მხარეს ეკუთვნის, სამგზავრო შემადგენლობა კი შეძენილია კერძო ინვესტორის სახსრებით.

ნიკო ლეკიშვილი „მეშარჯვენეებთან“ გაერიდა?

პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ამბროლაურის რაიონიდან ნიკო ლეკიშვილი აცხადებს, რომ შესაძლოა თავის პოლიტიკური კარიერა პოლიტიკურ გაერთიანება „ახალ მეშარჯვენეებს“ დაუკავშიროს.

პრაიმ-ნიუსთან საუბარში ნიკო ლეკიშვილმა თქვა, რომ 2003 წლის შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე იგი კვლავ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად იყრის კენჭს.

როგორც პრაიმ-ნიუსს „ახალი მეშარჯვენეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა დევან გაჩეჩილაძემ უთხრა, „ახლებს“ მზადრო ურთიერთობა აკავშირებს საზოგადოებრივ ორგანიზაცია „გადამზადებთა კავშირთან“, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერიც არის ნიკო ლეკიშვილი.

ალექსი ჩიბიროვმა შიშვილობა გამოაცხადა

ცხინვალში შიშვილობა გამოაცხადა თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ყოფილმა თანამშრომელმა ალექსი ჩიბიროვმა, რომელიც 7 იანვარს დაბაბაგმრის სახელმწიფო გადაგრილადების მცდელობის ბრალდებით, რასაც ჩიბიროვი კატეგორიულად უარყოფს. 2001 წლის დამლევს ალექსი ჩიბიროვი შეიარაღებულ მოშბრეთა ჯგუფთან ერთად შეეჯრა სამხრეთ ოსეთის პარლამენტის შენობაში და მოითხოვა გაეკეთებინათ მისი მამის ლუდვიგ ჩიბიროვის მიერ წაგებული არჩევნების შედეგები.

ინფორმაციის მოგზაურები: საქინფორმი, პრაიმ-ნიუსი.

ინფორმაცია

ტაბატაძეებმა ვაჟიშვილით გაიხარეს

ცნობილია გამოთქმა მეზობელო კარისაო... ჩვენც, ერთ კორპუსში მცხოვრებლებს ერთმანეთის იმედით კარგი ურთიერთობა გვაქვს. ძველით ახალი წლის დამდეგს გაბაგაძეებს ოჯახში ბიჭი დაბადა. თინას გიორგი თბილისის მე-5 სამმობიარო სახლში შეეძინა.

ოთარ და თინა გაბაგაძეებს შინ სამი წლის გოგონა ჰყავთ. ახალგაზრდა ოჯახი ახალი წელი ერთად ერთ-ერთ ოჯახში ეზეიმა. ბავშვი ბებიერ ბაბილინა ბაბილინაშვილ-ბაბილინაშვილ-ბაბილინაშვილ-

საქართველოს რესპუბლიკა
№ 12, ოთხშაბათი, 15 იანვარი, 2003 წელი.

ПРЕЗИДЕНТИ

ბაგრატის ტაძრის იუბილემ კიდევ ერთხელ უნდა დაანახოს მსოფლიოს, რას წარმოადგენს საქართველო, ქართველი ერი და ქართული კულტურა

ქუთაისის ბაგრატის ტაძრის ათასწლეულის იუბილეს სექტემბერში აღინიშნება და ეს დღისთვის ისეთივე მასშტაბური და დიდსული იქნება, როგორიც იყო თავად ეპოქა, რომელსაც ეს დიდი ისტორიული ძეგლი უკავშირდება. ამას ისახავს მიზნად ტაძრის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა მომზადება საიუბილეო კომისია, რომელმაც 14 იანვარს გამართულ სხდომაზე, საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით, კიდევ ერთხელ განიხილა და დაამტკიცა ამ ღონისძიებათა პროგრამა. სხდომის შუამავლობა მონაწილეობდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე.

საქართველოს პრეზიდენტმა ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ ორიოდე წლის შემდეგ საქართველომ თავისი სახელმწიფოებრიობის სამი ათასი წლისთავი უნდა აღნიშნოს და ამ ფონზე ბაგრატის ტაძრის იუბილეს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა. „საქართველოს მოქალაქეები, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება ყველაფერს, რაც ჩვენი ქვეყნის ისტორიასთან არის დაკავშირებული. ბაგრატის ტაძრის იუბილეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, რადგან ის ეპოქა მისი ისტორიის ერთ-ერთი განსაკუთრებული შემადგენელი ნაწილია“, – განაცხადა სხდომაზე ედუარდ შევარდნაძემ და გამოთქვა სურვილი, რომ საქართველომ ღირსეულად აღნიშნოს ეს დიდი დღესასწაული.

კომისიამ მოისმინა იმერეთში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის თემურ შამიანშვილის ინფორმაცია საიუბილეო ღონისძიებათა მზადების შესახებ. რწმუნებულის განცხადებით, ამ დიდი თარიღის აღსანიშნავად გეგმაშემდეგი და რეალური შუამაობა მიმდინარეობს. რაც მთავარია, როგორც თემურ შამიანშვილმა აღნიშნა, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ეს არ იყოს ვიწრო დღესასწაული და იქცეს ზოგადქართულ მოვლენად, ისეთად, როგორიც შეეფერება ბაგრატის ტაძარს – საქართველოს ერთიანობის სიმბოლოს.

სწორედ ამ მიზნით გათვალისწინებულია საგამომცემლო, საეკლესიო, კულტურულ, საგანმანათლებლო, სპორტულ, საპროექტო, ტურისტულ, კეთილმოწყობისა და არქეოლოგიური კვლევის ღონისძიებათა განხორციელება. ეს მრავალმხრივი პროგრამა შემუშავდა მას შემდეგ, რაც ორი წლის წინათ, ზუსტად ამ დღეს, საქართველოს პრეზიდენტმა და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას ბაგრატის ტაძრის 1000 წლისთავის იუბილეს აღნიშვნის შესახებ. დღეს კი ქართული მართლმადიდებელი ეკლესია და მისი წინამძღოლი მაღლობას უხდიან კომისიას ამ იუბილეთან დაკავშირებით ესოდენ მასშტაბური ღონისძიების დაგეგმვისათვის. „ეს არ არის მხოლოდ კულტურული ან საეკლესიო ძეგლი. ეს არის ჩვენი ცხოვრება, წარსული, აწმყო და მომავალი. ამიტომ ამ საიუბილეო თარიღს განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს“, – ასე შეაფასა ეს მოვლენა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

როგორც სხდომაზე ითქვა, იუბილემდე კომისია კიდევ შეეკრიბება, რათა საბოლოოდ დაამუშაოს, რა გაკეთდა და კიდევ რისი გაკეთებაა შესაძლებელი. საქართველოს პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ ეს მოვლენა კიდევ ერთხელ დაანახებს მსოფლიოს, თუ რას წარმოადგენს საქართველო, ქართველი ერი და ქართული კულტურა. მან მოუწოდა კომისიის წევრებსა და შესაბამის სამსახურებს, გააააქტიურონ შუამაობა მსოფლიო ბანკთან და სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან და დააინტერესონ ისინი ამ ღონისძიებით. ამასთან, გამოთქვა მოსაზრება, რომ თავად იუბილემდე გაიმართოს სამეცნიერო კონფერენცია არა მარტო ბაგრატის ტაძრის, არამედ ქუთაისისა და საქართველოს ისტორიაში მისი მნიშვნელობის საკითხებზე.

საქართველოს პრეზიდენტმა შეხვედრის მონაწილეებს ასევე გაუზიარა თავისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ აღინიშნოს იმავე ეპოქის ისტორიული ძეგლის – ბედიის ტაძრის იუბილე. „ჩემი ინფორმაციით, აფხაზეთს ამ ტაძრისათვის ხელი არ უხლიათ. იგი უვნებელია. როგორც ჩანს, იქ ბევრს ესმის, რომ ადრე თუ გვიან, ქართველები დაბრუნდებიან აფხაზეთში. ქართული ტაძრისადმი ამგვარი დამოკიდებულება აფხაზთა კეთილ ნებაზე მეტყველებს“, – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ და რწმენა გამოთქვა, რომ ამ იდეის განხორციელება შესაძლებელი იქნება.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

ПЕРВЫЙ ВЫПУСК

ისტორიული პროცესის დაწყებას საქართველო სრული მზადყოფნით ხვდება

„ისტორიული პროცესის რეალური დასაწყისი“ უწოდა ამ მოვლენას საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ იმავე საღამოს გამართულ სპეციალურ თათბირზე, რომელშეც ნავთობსადენისათვის განკუთვნილი ტვირთების შეუფერხებელი ტრანსპორტირების უზრუნველყოფის საკითხები განიხილეს. „შეიძლება ზედმეტ სიფრთხილეს ვიჩენ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ყველა უწყებამ თავისი ფუნქცია უნდა შეასრულოს ტვირთის დროულად გადაგანიდან დაწყებული მათი უსაფრთხოებით დამთავრებული“, – ასეთი კატეგორიული მოთხოვნა წაუყენა სახელმწიფოს მეთაურმა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების, სათბობ-ენერგეტიკის, ფინანსთა, მინაგან საქმეთა სამინისტროებს, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო სამსახურის, ბაჟებისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის დაწყების შემდეგ.

როგორც თათბირზე ითქვა, დადგა ის მომენტი, როდესაც პროექტში ქართული კომპანიებიც ჩაებნენ. ყველა სამშენებელო მასალა, რომელიც გამოიყენება სამშენებელო ბანაკების, საწყობებისა და სხვა სამუშაო ნაგებობებისათვის, საქართველოშია წარმოებული. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის გია ჭანგურიას ინფორმაციით, უკვე დასაქმებულია 60 საქართველოს მოქალაქე, რომელთა შრომის ანაზღაურებიდან, სახელფასო ანარიცხების სახით, ბიუჯეტში 20 ათასი ლარი შევა და მასწავლებლების ხელფასები დაიფარება. დამაგებითი შემოსავლის წყარო გაუჩნდა ადგილობრივ მოსახლეობასაც – მათგან დაიქირავეს ბინები ნავთობსადენის მშენებლობაზე დასაქმებული სპეციალისტებისათვის და პროდუქტებსაც მათგან ყიდულობენ. ტვირთების ტრანსპორტირება სპეციალური ვაგონებით სექტემბრამდე გაგრძელდება, ვაგონების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კი ტვირთს გამყოლებიც დასჭირდება. უახლოეს მომავალში დაიწყება მოსახლეობისათვის კომპენსაციების გაცემაც.

საქართველოს პრეზიდენტის მოთხოვნას, გამოირიცხოს ყოველგვარი შეფერხება ტრანსპორტირების პროცესში, ყველა შესაბამისმა უწყებამ მზადყოფნით უპასუხა. გადაწყდა, რომ გამოიცემა სპეციალური ბრძანებულება, რომელშიც თითოეული მათგანის ფუნქცია და მოვალეობა განისაზღვრება. ბრძანებულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე. უწყებათა შორის ურთიერთობის კოორდინაციია და საქართველოს პრეზიდენტის ყოველდღიური ინფორმირება პროცესის მიმდინარეობის თაობაზე დაევალა ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტს გია ჭანგურიას.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

საქართველო-რუსეთი

რეგორს ცნობილია, ბოლო დროებში აფხაზეთთან დაკავშირებით საგრძნობლად დაბაბა ვითარება, უპირველეს ყოვლისა, სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენისა და აფხაზებისათვის რუსეთის მოქალაქეობის გოგალური მინიჭების გამო. თავად აფხაზების მონაცემებით, დღეს მათ კონგროლს დაქვემდებარებულ ტერიგორიაზე დაახლოებით 350 ათასი კაცი ცხოვრობს და მათგან 80 პროცენტმა რუსეთის მოქალაქეობა უკვე მიიღო. სხვათა შორის, ანალოგიური საგანგაშო ვითარებაა ოსეთი დასახლებულ ყოფილი „სამხრეთ ოსეთის“ ტერიგორიაზე.

როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლება მოვლენების ასეთი განვითარებისათვის მზად არ იყო, და ეს იმ რეაქციითაც კარგად ჩანს, ჩვენი მხრიდან რუსეთის ამ არამეგობრულ ნაბიჯს რომ მოყვა. ამიგომაც ახლა საქართველოს აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლება ადეკვატური ზომების სხვადასხვა ვარიანტზე მსჯელობს. ამ პროცესში, როგორც ჩანს, თანდათან უკვე პოლიტიკური პარგიებიც ერთვებიან. ასე მაგალითად, რამდენიმე დღის წინათ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა რუსეთის თვითმფრინავებისათვის საქართველოს საჰაერო სივრცის ჩაკეტვის წინადადება წამოაყენა, რაც ჩვენს დიდ მეზობელს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის სომხეთთან თუ აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან დაკავშირების თვალსაზრისით.

გუშინწინ კი, რუსეთისადმი ამ „კონგრეზომების“ შემუშავების პროცესში ახალდაარსებული ნეოლიბერალური პარგიაც ჩაერთო. მისი პოლიგსაბჭოს წევრებმა: სოსო ცინცაძემ, ვლადიმერ ჭანკვეყანამ, გარიელ კულელაშვილმა და ოთარ ხაჩიეიმ ამ თემაზე სპეციალური პრესკონფერენცია გამართეს. ისინი ახალი საკანონმდებლო ინიციატივით გამოდიან, რომელიც აფხაზებისა და ოსებისათვის რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტების გაცემის ფონზე მათი საერთაშორისო იმოლაციისაკენ არის მიმართული.

როგორც ნეოლიბერალური პარგიის ერთ-ერთმა ლიდერმა სოსო ცინცაძემ განაცხადა, აფხაზებისა და ოსებისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების პროცესის დაწყება მოსალოდნელი იყო, და მისი წინასწარი განჭვრეგა ქართველ დიპლომატებს ეფალებოდათ. სოსო ცინცაძის თქმით, ქართულ დიპლომგაციას რომ ძლიერი ანალიგიკური სამსახური ჰქონოდა, მაშინ ძნელი არ იქნებოდა იმის განჭვრეგა, რას მოიმოქმედებდა რუსეთი, საქართველოს ნაგომი გაწევრიანების სურვილის გაცხადებისა და ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენის პროექტის დაწყების შემდეგ.

ამიგომაც ახლა ნეოლიბერალური პარგია (ისევე, როგორც მთელი ქართული პოლიგიკური სპექტრი) რუსეთის ამ ნაბიჯს, ანუ ჩვენს მოქალაქეებზე მათი პასპორტების გაცემას, საქართველოს სუვერენიტეტის აბუნად აგდებად აფასებს და პარლამენტს განსახილველად სპეციალურ კანონპროექტს სთავაზობს. ეს კანონპროექტი ემყარება კვიპროსის გამოცდილებას, რომელიც უკვე 18 წელია თავისი ტერიგორიის ჩრდილოეთ ნაწილს ვერ აკონგროლებს. ამ ქვეყანაში მოქმედებს კანონი, რომლის მიხედვითაც ცენგრალური ხელისუფლების უნებართვოდ სპარგაგსტულ ჩრდილოეთში, ნებისმიერი ქვეყნის სახელმწიფო ან, გნებავთ, საზოგადო მოღვაწის ვიზიგი, აგგომაგგრად იწვევს მათ შავ სიაში მეგანას: ის პირები, ვინც ასე უნებართვოდ ჩაელეს კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში, სამუდამოდ კარგავენ ამ ქვეყანაში ოფიციალურად ჩასვლის უფლებას, ანუ პერსონა ნონ-გრაგადე ცხადდებიან. საქართველოს ნეოლიბერალური პარგია საქართველოს ხელისუფლებას სწორედ ამ პრაქგიკის დანერგვას სთავაზობს, რის შედეგადაც, ვთქვათ, იგივე ლომჩინინი, სელეზნიოვი თუ სხვა რუსი პოლიგიკოსები, აფხაზეთსა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ თბილისთან შეუთანხმებლად ჩასვლის შემთხვევაში, პერსონა ნონ-გრაგადე გამოცხადდებიან და მესაბამისად, საქართველოში ჩამოსვლის უფლებას სამუდამოდ დაკარგავენ.

როგორც სოსო ცინცაძე აცხადებს, ეს აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ პრობლემებს საბოლოოდ ნამდვილად ვერ მოაგვარებს, მაგრამ ამისაკენ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ელჩის გამოწვევა არის ჩვეულებრივი დიპლომგაციური პროცედურა, რომელიც გარკვეული პროგესგის სთავაზობს, რის შედეგადაც, ვთქვათ, იგივე ლომჩინინი, სელეზნიოვი თუ სხვა რუსი პოლიგიკოსები, აფხაზეთსა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ თბილისთან შეუთანხმებლად ჩასვლის შემთხვევაში, პერსონა ნონ-გრაგადე გამოცხადდებიან და მესაბამისად, საქართველოში ჩამოსვლის უფლებას სამუდამოდ დაკარგავენ.

როგორც სოსო ცინცაძე აცხადებს, ეს ინიციატივა ჯერ-ჯერობით ოფიციალური ვამინგგონის პოზიციაა გამოხატული დნესგრასიპირეთის კონფლიქგთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ამმ დასამეგიად მიიჩნევს მოლდოვას ცენგრალური ხელისუფლების მხრიდან გირასპოლზე მეწოლის გაძლიერებას. და ეს მამინ, როცა მოლდოვა, გარდა იმისა, რომ კომუნისგი პყავთ პრეზიდენგად, ამერიკის მოკავშირედ სულაც არ ითვლება, დასძენს სოსო ცინცაძე.

არადა, საქართველო, რომელიც ამერიკის მეერთაფული მგაგების უბრალოდ მეგობრად კი არა, ოფიციალურად სგრაგეგიულ მოკავშირედ ითვლება, აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქგების დროს, ამ რეგიონებზე მეწოლის გაძლიერებას, საერთაშორისო თანამეგობრობაზე აპელირებით, რაგომლაც თავს არიდებს.

ამიგომაც ნეოლიბერალური პარგია თავისი საკანონმდებლო ინიციაგიის (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საერთაშორისო იმოლირებას რომ ისახავს მიზნად) ლობირების დაწყებას პარლამენგში უახლოეს ხანებში თავისი პარგიის ერთ-ერთი ლიდერის, დეუგგგ ვალერი გელაშვილის მეშვეობით აპირებს. და იმედიც აქვთ, რომ როგორც საბოგადოება, ასევე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, მათ ამ წამოწყებაში გვერდში დაუდგებიან. მით უმეგეს, რომ იგივე პარლამენგში ნეოლიბერალებმა წინასწარი კონსულგაციები პოლიგიკურ ჯგუფებთან უკვე ჩაგარეს და გარკვეული ფრაქციების, მაგალითად „აფხაზეთის“ იმედი უკვე აქვთ.

ბეჟან ძერია.

„ნეოლიბერალების“ არალიბერალური ინიციატივა

ქართული პოლიტიკური სპექტრი სეპარატისტების წინააღმდეგ ირაზმება

„ნეოლიბერალების“ ინიციატივა ქართველ პოლიტიკოსებს, ეროვნულ მოძრაობას, ეროვნულ ერთიანობას, ეროვნულ ინტერესებს ეხება. ეს ინიციატივა ეხება ეროვნულ ინტერესებს, ეროვნულ ერთიანობას,

ექვთიმე თაყაიშვილი — 140

ექვთიმე თაყაიშვილი... რაოდენ ბევრის მოქმედია დღეს ქართველისათვის ეს სახელი და გვარი. კაცი, რომელმაც ჭეშმარიტი მამულიშვილობის დიოსკეული მაგალითი უნდა ეთანამედროვეებსა და შთამომავლობისათვის ეროვნული ორიენტაციის განმსაზღვრელად იქცა, დღეს უკვე წმიდანად შერაცხული დიდი მამულიშვილი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე სამშობლოსათვის თავდადებისა და უანგარო საშსახურის ჭეშმარიტ ეგზალონადაა მიჩნეული.

140 წელი შესრულდა დიდი მამულიშვილის დაბადებიდან. იგი სამოდვაწეო ასპარეზზე გამოვიდა მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს და ბგერდით დაუდგა ქართული ისტორიოგრაფიის იმ სასელოვან წარმომადგენლებს, რომლებმაც ნაყოფიერი მუშაობა გაშალეს ეროვნული ისტორიის მრავალფეროვანი და მრავალმხრივი წყაროების შეკრების, მეცნიერული შესწავლისა და გამოცემისათვის. ექვთიმე თაყაიშვილმა პირველმა ჩააყენა საქართველოს ისტორიის სამსახურში მდიდარი ქართული დოკუმენტური მასალა, ქართული ეპიგრაფიკა, მანამდე შეუსწავლელი ქართული ხელნაწერები და მათი ანდერძ-მინაწერები, ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები და ყოველივე ამით მყარი ნიადაგი მოუმზადა ქართული ისტორიული მეცნიერების ალმავლობას.

დღეს, 21-ე საუკუნის გადმოსახედიდან, განსაკუთრებული ელვარებით მოჩანს დიდი ექვთიმე. ეს მართლაც ღვთისკაცი. რომელიღაც ფილოსოფოსს უთქვამს, „ისტორია ალდგომა-აღორძინება არისო“; ისტორიის ამგვარი დეფინიცია, რა თქმა უნდა, საღავთა, თუმცა ექვთიმე თაყაიშვილის ბედს იგი საოცრად ესადაგება.

ექვთიმე თაყაიშვილი 1863 წლის 5 იანვარს (ძველი სტილით) დაიბადა.

მშობლები ადრე გარდაეცვალა და ბავშვობა ოსლოსბაში გაატარა. სამოდე წლის ექვთიმეს საბედისწერო მარცხი მოსცელია: ხიდან გადმოვარდნილი და მარჯვენა ფეხი მოუტეხია. ბავშვისათვის ყურადღება დაუკლიათ და იგი სამუდამოდ დაკოჭლებულა. 7 წლის ექვთიმე ოშურგეთის სამაბრო სასწავლებელში შეიყვანეს. აქ მაშინ მასწავლებლობდა დეკანოზი სიმონ ქიქოძე, ცნობილი ქართველი მოღვაწის გაბრიელ ეპისკოპოსის ძმა, რომელიც სალმრთო სჯულს ასწავლიდა, როგორც რუსულად, ისე ქართულად. მან წარუმლელი შთაბეჭდილება მოახდინა ექვთიმე თაყაიშვილზე. სიმონ ქიქოძე ბავშვებს ასწავლიდა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლექსებს. ოშურგეთში სწავლისას დაუახლოვდნენ ერთმანეთს ექვთიმე თაყაიშვილი და ნიკო მარი, ეს ნაცნობობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდა.

შემდეგ ექვთიმე სწავლას აგრძელებს ქუთაისის გიმნაზიაში, რომელიც 1883 წელს დაამთავრა და პეტერბურგის უნივერსიტეტში სასწავლებლად გაემგზავრა. აქ იგი ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა მსმენელად. ექვთიმე თაყაიშვილი მონდომებით მეცადინეობდა, ეწაფებოდა ცოდნას, მას ღრმად სჯეროდა, რომ ვერ ჩადგებოდა ერის სამსახურში, თუ მრავალმხრივ მომზადებული არ იქნებოდა. 1887 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა უნივერსიტეტი დაამთავრა და საქართველოსაკენ გამოსწია.

1887-94 წლებში მასწავლებლობს თბილისის სათავადაზნაურო სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაში. 1894-1904 წლებში სათავადაზნაურო გიმნაზიის განაგებს. ექვთიმე თაყაიშვილი უახლოდგება დიმიტრი ბაქრაძეს, რომელიც დაუღალავად ილეწოდა საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დაცულ სიძველეთა შეკრება-დამუშავებისა და შემლებისდაგვარად გამოქვეყნებისათვისაც. „იმხნად, – წერს ექვთიმე თაყაიშვილი, – უკვე გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი მიზანი.. შემეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის, ყოველი ძალღონე მეხმარა ძეგლთა დაღაჩენისა და დაკარგვისაგან გადასარჩენად, რაც შეიძლება მეტი გამომემზეურებინა და მისაწვდომი გამეხადა მკვლევართათვის, ეს მიმაჩნდა ჩემი კეთილური ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ იმ პერიოდში, იმ რწმენით, რომ ჩვენში გამოჩნდებოდნენ მეცნიერები, რომლებიც ჯეროვნად შეგიგიოვებდნენ საქართველოს ისტორიას, გაგეიშუქებდნენ იმ მართლაცდა დიდ კულტურას, რომელსაც ქართველმა ერმა მიაღწია ჯერ კიდევ შორეულ წარსულში“.

პეტერბურგის უნივერსიტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი იყო ექვთიმე, როცა დაუსწრებლად აირჩიეს „წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეთის წევრად. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ იგი მთელი არსებით ებმება ამ საზოგადოების მუშაობაში. მისი ენერგიის ჭყალობით გროვდება ძვირფასი წიგნები, სიგელ-გუჯრები, სხვადასხვაგვარი სიძველენი.

საგაბეთო წერილში, ბოგინდ ვრცელზე უნდა იყოს იგი, ძნელია ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სრული აღწერა. დაკლებულისათვის შენდობას ვთხოვთ მკითხველსა და განსვენებული მეცნიერის დიდ სახელს.

ექვთიმე თაყაიშვილი იყო წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი, ეპიგრაფიკის მკვლევარი, მხრული არქეოლოგი, ქართული მწერლობისა და ხალხური სიტყვიერების, ისტორიული გეოგრაფიისა და სამართლის ისტორიის მკვლევარი. ერთი სიტყვით, იგი იყო ჭეშმარიტი ისტორიკოსი, ამ სიტყვის უფაროთესი გაგებით.

საქართველოს სამეცნიერო-კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წელილი შეიტანა 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით დაარსებულმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომელმაც მიზნად დაისახა საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დაცულ სიძველეთა შეკრება-დამუშავებისა და შემლებისდაგვარად გამოქვეყნებისათვისაც. „იმხნად, – წერს ექვთიმე თაყაიშვილი, – უკვე გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი მიზანი.. შემეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის, ყოველი ძალღონე მეხმარა ძეგლთა დაღაჩენისა და დაკარგვისაგან გადასარჩენად, რაც შეიძლება მეტი გამომემზეურებინა და მისაწვდომი გამეხადა მკვლევართათვის, ეს მიმაჩნდა ჩემი კეთილური ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ იმ პერიოდში, იმ რწმენით, რომ ჩვენში გამოჩნდებოდნენ მეცნიერები, რომლებიც ჯეროვნად შეგიგიოვებდნენ საქართველოს ისტორიას, გაგეიშუქებდნენ იმ მართლაცდა დიდ კულტურას, რომელსაც ქართველმა ერმა მიაღწია ჯერ კიდევ შორეულ წარსულში“.

ექვთიმე თაყაიშვილი 1883 წელს ქუთაისის გიმნაზიაში, რომელიც 1883 წელს დაამთავრა და პეტერბურგის უნივერსიტეტში სასწავლებლად გაემგზავრა. აქ იგი ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა მსმენელად. ექვთიმე თაყაიშვილი მონდომებით მეცადინეობდა, ეწაფებოდა ცოდნას, მას ღრმად სჯეროდა, რომ ვერ ჩადგებოდა ერის სამსახურში, თუ მრავალმხრივ მომზადებული არ იქნებოდა. 1887 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა უნივერსიტეტი დაამთავრა და საქართველოსაკენ გამოსწია.

1887-94 წლებში მასწავლებლობს თბილისის სათავადაზნაურო სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაში. 1894-1904 წლებში სათავადაზნაურო გიმნაზიის განაგებს. ექვთიმე თაყაიშვილი უახლოდგება დიმიტრი ბაქრაძეს, რომელიც დაუღალავად ილეწოდა საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დაცულ სიძველეთა შეკრება-დამუშავებისა და შემლებისდაგვარად გამოქვეყნებისათვისაც. „იმხნად, – წერს ექვთიმე თაყაიშვილი, – უკვე გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი მიზანი.. შემეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის, ყოველი ძალღონე მეხმარა ძეგლთა დაღაჩენისა და დაკარგვისაგან გადასარჩენად, რაც შეიძლება მეტი გამომემზეურებინა და მისაწვდომი გამეხადა მკვლევართათვის, ეს მიმაჩნდა ჩემი კეთილური ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ იმ პერიოდში, იმ რწმენით, რომ ჩვენში გამოჩნდებოდნენ მეცნიერები, რომლებიც ჯეროვნად შეგიგიოვებდნენ საქართველოს ისტორიას, გაგეიშუქებდნენ იმ მართლაცდა დიდ კულტურას, რომელსაც ქართველმა ერმა მიაღწია ჯერ კიდევ შორეულ წარსულში“.

პეტერბურგის უნივერსიტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი იყო ექვთიმე, როცა დაუსწრებლად აირჩიეს „წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეთის წევრად. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ იგი მთელი არსებით ებმება ამ საზოგადოების მუშაობაში. მისი ენერგიის ჭყალობით გროვდება ძვირფასი წიგნები, სიგელ-გუჯრები, სხვადასხვაგვარი სიძველენი.

ექვთიმე თაყაიშვილი ეზიარა ეკლესიურ ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ეს ფაქტი ეროვნულ ისტორიოგრაფიაში ალბათ ერთადერთი ფენომენია. ეს ალბათ ერთადერთი ადამიანია, ვინც ეროვნული ისტორიოგრაფიის ალმოსავლეთ-ალმოსავლეთ ფანჯარა ეზიარა ეკლესიურ ცხოვრებასა და მოღვაწეობას

საქართველოს რესპუბლიკა
№ 12, ოთხშაბათი, 15 იანვარი, 2003 წელი.

ᲛᲘᲡᲘ ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲒᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაკვეთილი

„ᲡᲐᲮᲚᲘᲗᲝ... მას თათხავდნენ მგრები ჩვენში და საბდვარგარეთ, თანაც, ენებათა დელვა წლითი წლობით ოდნავადაც არ ცხრება, პირიქით, მაგულობს. მილიონობით ადამიანი მთელ დედამიწის შურგზე ადგაცვებით ისსენიებდა სტალინს, ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში, და მათ შორის იყვნენ უთვალსაჩინოესი ინტელიგენტები და უდიდესი პოლიგიკოსები. დღეს მის პორტრეტებს გაცილებით უფრო მეტს ვხედავთ მიგინგებზე და პრესის ფურცლებზე, ვიდრე თანამედროვე პოლიგიკოსების ფოგოსურათებს. რაგომ ხდება ეს? იმიგომ, რომ სტალინი არის რუსეთის ისტორიისა და კულტურის განკაცებული ფენომენი, იგი ისეთივე წინააღმდეგობრივი და კრაგიკულია, როგორც თვით ეს კულტურა", – ასეთი წარწერა ამშვენებს სერბი სემანიმის — „სტალინი, ცხოვრებისა და საქმიანობის გაკვეთილი" წიგნის ყდას, რომელსაც ქუდად წამძღვარებული აქვს სიტყვები: „50 წელი უნელაღოდ, სტალინიანა".

გთავაზობთ ნაწყვეტებს ამ წიგნიდან.

30-იანი წლების დამდეგს ორატორთა გამონათქვამებში, ჟურნალ-გაზეთების სათაურებში სტალინის ვეარქა სულ უფრო ხშირად იწყო გამოჩენა, და თანდათან ერთგვარ ფეტიშად გადაიქცა. სტალინის გამონათქვამები — ეს იყო ბელადის ინსტინქტური და, ალბათ, გულწრფელი რეაქცია მის ქებათა ქებაზე. უდავოა, რომ ხოგბა-დიდებას, მქუხარე გაშს და შეძახილებს „გუმარჯოს სტალინს!" — ბელადი, სადად მოამრთვენე და ხუმრობის მოყვარული კაცი, თავდაპირველად აღიქვამდა მხოლოდ როგორც იმ პაგიოსცემის გამოხატულებას, რომელიც განუყოფლად ეკუთვნოდა არა პირადად მას, სტალინს, არამედ იმ პოსტს, რომელიც მას ეკავა პარგიაში, სკკ კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტს. მაგრამ ასევე უდავოა, რომ პაგიოსცემის, მადლიერების და აღფრთოვანების ეს გამოხატულება მას სიამოვნებდა და თანდათან უმეტესად კვალს გუფში. დროთა განმავლობაში იგი მიეჩვია საყოველთაო თაყვანისცემას და სრულიად ჩვეულ ამბად თვლიდა. ასე ჩამოყალიბდა ფენომენი, რომელსაც შემდეგ „სტალინის პიროვნების კულტის" სახელი ეწოდა...

* * *

1 მაისს, როგორც ყოველთვის, როგორც ჩვეულებრივ, სტალინი წითელ მოედანზე მოსკოვის გარნიმონის ჯარების პარადსა და მშრომელთა დემონსტრაციას ესწრებოდა. სწორედ 30-იან წლებში იქცა გრადიციად პარადი, და ყოველი კაცი, მოედანზე მოხვედრისთანავე, თვალებით იწყებდა ნაცნობი რუხფარაჯიანი ფიგურის ძებნას ლენინის მავზოლეუმის გრიბუნაზე მდგომთა შორის.

2 მაისს სტალინი პარგიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად კრემლში პარადის მონაწილეებს მასპინძლობდა.

25 მაისს სტალინი ესწრებოდა მუსიკოს-შემსრულებელთა I საკავშირო კონკურსის დასკვნის კონცერგს მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში. მეორე დღეს, ნორჩი გალანგები, ამ კონკურსის ლაურეატები — ბუსიკ გოლშტეინი, არიკ კაპლანი, ემილ და ლიზა გილელსები, მიშა ფიხგენგოლიი — კრემლში მივიდნენ. სტალინი, მოლოტოვი და კაგანოვიჩი მათ დაახლოებით ერთ საათს ესაუბრნენ.

სიტყვამ მოიგანა და, საკმარისია, გაეცნო იმ გვარეს, რომ დარწმუნდე: არ არსებობს არავითარი საფუძველი დღემდე შემორჩენილი მტკიცებებისთვის ვითომდა ნიჭიერი ადამიანების ერთვნული ნიშნის მიხედვით „დისკრიმინაციის" შესახებ: ყველა ეს ნორჩი გალანგი ებრაელია, და ბევრმა მათგანმა აღიარება მოიპოვა არა მარგო სსრ კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც.

12 ივნისს გაიმართა ფიზკულტურელთა პარადი წითელ მოედანზე. სტალინი ამ პარადსაც ესწრებოდა.

29 ივნისს სტალინმა მოლოგოვთან, ვორომილოვთან და ორჯონიკიძესთან ერთად დათვალიერა სამხეგარო გამოფენა „მუშურ-გლეხური წითელი არმიის 15 წელიწადი". სტალინს ყოველთვის აინტერესებდა ბაგალისგი მხეგრების ნაწარმოებები, განსაკუთრებით, მ. გრეკოვის — I ცხენოსანთა არმიის მეხოგების ნამუშევრები.

18 ივლისს სტალინი და ვორშილოვი ლენინგრადში ჩავიდნენ და იმავე დღეს კიროვთან ერთად ОГПУ-ს (გაერთიანებული სახელმწიფო პოლიგიკური სამმართველო) უფროსის თანხლებით გემ „ანოხინით" თეთრი ზღვა-ბალგიის არხზე, ბელომორკანალზე გასაცურნენს. ამ არხის გაყვანა ხუთწლეულის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მშენებლობა იყო: ობიექტს უადრესად დიდი სახალხო-სამეურნეო და თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა (მშენებლობა ძალზე ძნელი და რთული გამოდგა. ჰქონდა მას კიდევ ერთი თავისებურება — ბელომორკანალს ძირითადად აშენებდნენ ადამიანები, რომლებსაც საბჭოთა სასამართლომ მსჯავრი დაადო როგორც სისხლის სამართლის, ისე პოლიგიკური დანაშაულობების გამო).

დასაქმების სახელმწიფო სამსახურის ქ. თბილისის რაიონული განყოფილებები თავისუფალი სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციას გასცემენ დასაქმების სამსახურში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებზე. რეგისტრაციისთვის მოქალაქემ რაიონულ განყოფილებაში უნდა წარმოადგინოს: ა) პირადობის მოწმობა (პასპორტი); ბ) შრომის წიგნაკი; გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი);

დასაქმების სახელმწიფო სამსახურის ქ. თბილისის რაიონული განყოფილებები განთავსებულია:

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული განყოფილება – დავით აღმაშენებლის 140-ა გამგეობის შენობა, I სართ. ტ. 94-24-98.

ისანი-სამგორის რაიონული განყოფილება – ავლაბრის ქ. 34,მეგრო „ავლაბრის“ მიმდებარე ტერიტორია.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული განყოფილება – გ. გულუას I. გამგეობის შენობა, IV სართ. ტ. 72-01-30.

ვაკე-საბურთალოს რაიონული განყოფილება – კოსტავას 68-ა გამგეობის შენობა, II სართ. ტ. 33-23-97.

გლდანი-ნაძალადევის რაიონული განყოფილება – სარჯიშვილის I. გამგეობის შენობა, II სართ. ტ. 62-59-92.

რეგიონი

რაგბი სკოლაში – სასწავლო საგნად

ქართველმა მორაგბეებმა მარშან არნახულ წარმატებას მიაღწიეს – ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიო თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. საგულისხმოა ისიც, რომ ევროპის რეგიონული პირველობის ნახევარფინალში გავიდა აჭარის ნაკრები. ეს არ ყოფილა შემთხვევითი, რადგან აქ ბოლო წლებში რაგბის განვითარებას უდიდესი ყურადღება ექცევა. დასკვრად ისიც გამოდგება, რომ მარშან ეროვნული ჩემპიონაგის ოქროს და ვერცხლის მედლები, შესაბამისად, ბათუმის სარაგბო კლუბ „დათვების“ პირველმა და მეორე გუნდებმა გაიინაწილეს.

გვესაუბრება აჭარის რაგბის კავშირის გენერალური მდივანი მერაბ დანელია.

– ხუთი წლის წინათ ფინანსური სიძნელეების გამო ბათუმის სარაგბო გუნდი „დელფინები“ დაიშალა, – მითხრა ბაგონმა მერაბმა, – მაშინდელი მწვრთნელი ამირან შავგულიძე ფოთში გადავიდა სამუშაოდ. საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ რამაზ სვანაძესთან ერთად ახალი გუნდის ჩამოყალიბება გადავწყვიტეთ, დახმარებისთვის სპორგის დიდ ქომაგს და მეცენაგს ბაგონ ილია წულუკიძეს მივმართეთ, რომელიც მაშინ აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ მუშაობდა. იგი სამოვნებით დაგვთანხმდა. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც აჭარის ავგონომიური რესპუბლიკის მეთაურის ბაგონ ასლან აბაშიძის მხარდაჭერა და დახმარება იყო.

1998 წელს შეიქმნა სარაგბო კლუბი „დათვები“. პირველსავე შეხვედრაზე, როცა სამომაელო გეგმები დაისახა, ბაგონმა ილია წულუკიძემ თქვა: საქმეს სანახევროდ ნუ გავაკეთებთ, გუნდს თუ ვაყალიბებთ, მან არა მარტო აჭარა, არამედ მთელი საქართველო უნდა ასახელოსო.

მაგერიალური და მორალური მხარდაჭერა გვქონდა, ამიგომ ჩვენც დიდი ენთუზიაზმით შევუდექით საქმეს. შევქმენით სრულიად ახალი გუნდი. მოვიწვიეთ პროფესიონალი ქართველი მორაგბეები ქუთაისიდან, ასევე, რუსეთის სხვადასხვა ქალაქში მიმოფანგული ჩვენებურები. გარჯამ ნაყოფიც გამოიღო – „დათვებმა“ მხოლოდ წინა წლის ჩემპიონებთან – „ყორეებთან“ წააგეს და საქართველოს ეროვნულ ჩემპიონაგში მეორე ადგილი დაიკავეს.

მომდევნო სეზონი იმით დავიწყეთ, რომ აჭარის რაგბის კავშირი ჩამოვაყალიბეთ, რომლის პრეზიდენგად ავირჩიეთ ბაგონი ილია წულუკიძე, რომელიც ამჟამად აჭარის ავგონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისგრია.

გუნდიც ჩინებულად მოემზადა ჩემპიონაგისთვის და ოქროს მედლებიც მოიპოვა. 2000 წელს, ქრისგეშობის ოცსაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებთან, შავი ზღვის აუზის ქვეყნების მონაწილეობით ბათუმში საერთაშორისო ტურნირი გავმართეთ „აღორძინების“ თასზე. იქ გაცდილმა მარცხმა (მთავარი პრიზი რუსეთის ჩემპიონებმა – კრასნოიარსკელებმა დაისაკუთრეს) ეროვნულ ჩემპიონაგში გამოსვლასაც დაგაყო თავისი დაღი და იმ წელიწადს უმეძლოდ დავრჩით.

შარშანწინ გუნდის მთავარ მწვრთნელად გამოცდილი სპეციალისგი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ლევან მგელაძე მოვიწვიეთ. სეზონიც წარმგებით დავამთავრეთ: „დათვებმა“ საქართველოს თასი მოიპოვეს, ხოლო ეროვნულ ჩემპიონაგში II ადგილი დაიკავეს. საგულისხმოა ისიც, რომ ადგილობრივი მორაგბეებით დაკომპლექგებულმა მეორე გუნდმა („დათვები-2“) პირველ ლიგაში ყველას აჯობა და უმაღლეს ეშელონში თამაშის უფლება მოიპოვა.

შარშანდელი სეზონი არნახულად უხვმოსავლიანი გამოდგა. ჯერ საქართველოს თასი დავიპაკუთრეთ, შემდეგ ეროვნული ჩემპიონაგის „ოქრო-ვერცხლიც“ ჩვენ გავინაწილეთ, „შვიდკაცას“ პირველობაც მოვიგეთ, ევროპის რეგიონული ჩემპიონაგის ნახევარფინალში გავედით, რაც დღეიგეგისთვის ურიგო როდია, რადგან შეჯიბრებაში 22 ქვეყნის 32 გუნდი მონაწილეობდა. წლეულს აჭარის ნაკრები მსგავს ასპარეზობაში პირდაპირ მერვედფინალიდან ჩაებმება.

– რაგბის შემდგომი განვითარებისთვის, დღისგული ცვლის მოსამზადებლად რას აკეთებთ?

– ამჟამად აჭარაში 300-მდე ყმაწვილი ვარჯიშობს ოვალური ბურთით. ქუთაისის „ია“ ყოფილი მოთამაშე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ემმარ გეგუჩაძე, სწორედ, ადგილობრივი კადრების მოსამზადებლად მოვიწვიეთ.

ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში, სადაც ლელობურთი წლების განმავლობაში სპორგის პოპულარული სახეობა იყო, ადგილობრივი თავეკაცების დახმარებით შევქმენით ახალგაზრდა მორაგბეთა გუნდი „ბელები“, რომელმაც თანაგოლთა შორის საქართველოს პირველობაზე ორჯერ მეორე ადგილი დაიკავა. საგულისხმოა ისიც, რომ მარშან საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ჩვენი 3 მოთამაშე მონაწილეობდა ფრანგების წინააღმდეგ გამართულ მაგჩში.

ქედის რაიონში ცხოვრობს ვეტერანი მორაგბე ბურაბ ცერცვაძე, რომელსაც რაიონულ ცენგრსა და სოფელ პირველ მაისში ბავშვთა ორი გუნდი ჰყავს და ინგენსიურად ავარჯიშებს.

70 ყმაწვილი ეუფლება ოვალური ბურთის საიდუმლოებას კლუბ „ბათუმი-ელიგმი“ კახა კუნჭულის და გორა ხონელიძის ხელმძღვანელობით. მე-9 საშუალო სკოლის გუნდს როინ ვაშაძე და გიორგი ჩუბინიძე უდგანან სათავეში, ხოლო 26-ე საშუალო სკოლის ბაგაზე ჩამოყალიბებულ გუნდს „დათვები-2“-ის მთავარი მწვრთნელი რამაზ სანებლიძე ავარჯიშებს. ყოველ შემოდგომა-გაზაფხულზე ორ ასაკობრივ ჯგუფში აჭარის პირველობას ვმართავთ, რომლებშიც 6-6 გუნდი მონაწილეობს.

სამომაელოდ ერთი კარგი საქმეც გაკეთდება: ჩვენი კავშირის ინიციაგივით, აჭარის განათლების სამინისგრო სექტემბრიდან რაგბის სასწავლო საგნად შეიგანს სკოლებში. მეთოდური ლიგერაგურისა და მასწავლებელთა მომზადებას აჭარის რაგბის კავშირი უბრუნველყოფს – 8 ლიცენზირებული მწვრთნელი ვეყავს საერთაშორისო სერგიფიკაგით და ამ საქმის წარმგებით დაგვირგვინება არ გაგვიჭირდება.

– ყველა წამოწყებას შესაბამისი მაგერიალურ-გექნიკური ბაზა და ფინანსური უზრუნველყოფა სჭირდება. ამ მხრივ რა მდგომარეობაა თქვენთან?

– ჩვენი ახალგაზრდების უმეგესობა და ეროვნულ ჩემპიონაგში მონაწილე გუნდები უმთავრესად ანგიასს სპორგულ ბაბაზე ვარჯიშობენ. მე-9 სკოლის გუნდი შინაგანი ჯარების მოედანზე მეცადინეობს. ახლახან ფიროსმანის ქუჩაზე პოლიგექნიკური ინსგიგუგის გვერდით მდებარე მოედანი „დათვებს“ გადაეცა, რომელიც ეროვნული ჩემპიონაგის ახალი სეზონისთვის კეთილმოეწყობა: გაკეთდება გრიბუნები ორი ათასი მაყურებლისთვის, ასევე, საშხაპე, გასახდელები და მსაჯთა ოთახი. ამდენად, „დათვებს“ საკუთარი ბაბა ექნებათ.

რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, არც ამ მხრივ გვაქვს საწუწუნო. განსაკუთრებულ ყურადღებას გვაქცევს ბაგონი ასლან აბაშიძე. მარგო ის რად ღირს, რომ ავგონომიური რესპუბლიკის მეთაურმა დანიასა და საფრანგეთში გასამგზავრებლად სამთავრობო თვითმფრინავი დაგვითმო. მაგერიალურ დახმარებას გვიწევენ ადგილობრივი ფირმები და ორგანიზაციები, კერძო პირებიც კი. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თანადგომისთვის ჩვენი კავშირის სახელით დიდი მადლობა ვუთხრა აჭარის ავგონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, ჩვენი კავშირის პრეზიდენგს ბაგონ ილია წულუკიძეს, იმ ფირმებსა და ორგანიზაციებს, რომლებმაც დახმარების ხელი გამოგვიწოდეს, ასევე, საქართველოს რაგბის კავშირს და მის პრეზიდენგს ბაგონ ბიძინა გეგიძეს, რომლის უშუალო შემწეობით მრავალი საკითხი მოგვიგვარებია.

დღეს აჭარაში რაგბის ბუმია. ეს გარკვეულწილად ეროვნული ნაკრების წარმგებებმაც განაპირობა, მჯერა, რომ ქართული რაგბი უფრო დიდ მწვერვალებსაც დაიპყრობს, რაშიც თავის წვლილს აჭარის რეგიონის სპორგსმენებიც შეიგანენ.

ესაუბრა
ვაჟა დანელია.

სურათებზე: მერაბ დანელია; აჭარის რაგბის კავშირის პრეზიდენგი ილია წულუკიძე (მარჯვნივ) და „დათვების“ მთავარი მწვრთნელი ლევან მგელაძე დარიგებებს აძლევენ თავიანთ შეგირდებს; აჭარის ნაკრები.

კრიკეტი

მიზანი – მხოლოდ პირველობა

რომ გვეორქიანი 15 წლისაა, თბილისის 64-ე სკოლის მე-9 კლასში სწავლობს. კრიკეტი ვარჯიში 2 წლის წინათ დაიწყო დავით ქავთარაძის ხელმძღვანელობით. მცირე დროის მიუხედავად, უკვე საკმაო წარმგებებს მიაღწია. პირველი გამარჯვება შარშანწინვე იმეამ; თანაგოლთა შორის თბილისის პირველობაზე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. უხვმოსავლიანი გამოდგა მისთვის შარშანდელი სეზონი – ხუთ გურნირში პირველი ადგილი დაიკავა, ქვეყნის ქართლის ღია პირველობაზე კი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

მწვრთნელთან ერთად რომ ამჯერადაც დიდი მონდომებით ემზადება ახალი სეზონისთვის. სულ მალე ქალაქის პირველობა გაიმართება. ნიჭიერ მოკრიკეს გადაწყვეტილი აქვს, აქაც გამარჯვებისთვის იბრძოლოს.

იზა პირველი.

სურათზე: რომა გვეორქიანი.

ფეხბურთი

რუსეთის ნაკრები ემზადება

რუსეთის საფეხბურთო ეროვნული ნაკრები 2003 წლის სეზონისთვის სერიოზულად ემზადება.

10-12 თებერვალს რუსი ფეხბურთელები ითამაშებენ ოთხი ნაკრების გრუდიციულ ტურნირში, რომელიც კვიპროსზე იმართება. აქ მათი მეგოქეები იქნებიან კვიპროსის, რუმინეთისა და სლოვაკიის გუნდები. 29 მარგს რუსეთის ნაკრები სგუმრად ითამაშებს ევროპის პირველობის შესარჩევ მაგჩს ალბანელების წინააღმდეგ. 2 აპრილს – ასევე მეგოქის მინდორზე – ამხანაგურ შეხვედრას გერმანიის ეროვნულ ნაკრებთან. 30 აპრილს კი, როგორც ცნობილია, დანიშნულია ევროპის პირველობის შესარჩევი შეხვედრა თბილისში საქართველოს ნაკრებთან.

ცინცხალი ამგები

რუსეთელმა ეკიპაჟმა ელადიმერ ბაგინის შეთაურობით, რომელიც „КамАЗ“-ის მარკის ავგომობილით ასპარეზობს, ტელეკონიკა დაკარ–2003“ ავგორბიოლაში, ლიდერთა რიგებში გადაინაცვლა. მათ IZ ეგაპის შედეგების მიხედვით პირველობა არავის დაუთმეს. სავერთო ჩათვლაში მეორე და მესამე ადგილებს ირანელიელები დე ამევედო „გაგრით“ და დე რიო ინაწილებენ. რალი ეგეპაგის უდასრულო ოთხის სიგის რაიონში ნაგარდა.

ამერიკის ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბ „ბაფალო სეიბრზის“ ხელმძღვანელობამ ოფიციალურად განაცხადა თავისი გუნდის გაკოგრების შესახებ. ახალი წლის შემდეგ „ბაფალო“ მეორე გუნდია ეროვნულ ლიგაში, რომელიც გაკოგრდა.

ყოველი მხრიდან

ფეხბურთის ყურება აუკრძალეს

თუმცა ფეხბურთის მაგჩის შემდეგ ლონდონის „მილოუელის“ გულშემაგკივარს რეშონდ ვევერესგან ხულიგნობისათვის ხუთი წლით პაგიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ მას ეს ისე არ სწყენია, როგორც სასამართლოს ის გადაწყვეგილება, რომლითაც მას ცისიდან გამოსვლიდან რვა წლის განმავლობაში ეკრძალება ინგლისსა და უელსში გამართული ფეხბურთის მაგჩებზე დასწრება.

ასეთი მკაცრი სასჯელი ეევერესგს გამოუგანეს „მილოუელსა“ და „ბირმინგემ სიგის“ შეხვედრის შემდეგ მასობრივი აყალმაყალისათვის, რომლის დროსაც დაშავდა ორივე გუნდის უამრავი გულშემაკივარი, ასობით პოლიციელი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ...ცხენებიც კი. ვიდეოკამერამ აღბეჭდა, თუ ეევერესგმა როგორ ჩაასილა წიხლი პოლიციელის ცხენს. გულშემაკივარი მარგო ხულიგნობისა და პოლიციელებისათვის წინააღმდეგობის გაწევაში კი არ დაადანაშაულეს, არამედ ცხოველებისადმი მკაცრ დამოკიდებულებაშიც!

როგორც ბრალდებულმა თავის საბოლოო სიგყვაში აღნიშნა, მისთვის ყველაზე მკაცრი სასჯელი ციხე კი არა, 13 წლით საყვარელი თამაშიდან მოწყვეგაა, მან ხომ ლონდონელი „ლომების“ გულშემაგკივრობა ჯერ კიდევ სამი წლისამ დაიწყო.

ასე რომ, ნუ შეურაცხყოფთ ცხენებს!

„ევრო-2004“-ის უსაფრთხოებისათვის

პორგუგალიის ფეხბურთის ფანგების ხულიგნული გამოხდომები ადგილობრივი სპორგული პრესის ფართო განსჯის საგანი გახდა, რადგან ასეთი რამ შეუთავსებლად მიაჩნიათ 2004 წლის ევროპის ჩემპიონაგის მასპინძელი ქვეყნისთვის.

ქვეყანაში ძალზე აღშფოთებთ ის გარემოება, რომ მთავრობას არ ძალუძს, სათანადო თანხით უზრუნველყოს სგადიონზე უსაფრთხოების ღონისძიებები, რასაც, სპეციალისგების გაანგარიშებით, 60 მილიონი ევრო სჭირდება.

მთავრობა ამ ციფრს არ ეთანხმება და ფიქრობს, რომ შეიძლება 8,5 მილიონ ევროში „ჩაგევა“. 3,5 მილიონი ევრო უკვე გათვალისწინებულია ქვეყნის 2003 წლის ბიუჯეგში. ამ ფულით უნდათ უცხოეთში სპეცსაშუალებათა (ჰიდროშარბაშნების ჩათვლით) არენდირება, რათა შეაიარაღონ რესპუბლიკური ჟანდარმერია და საშოგადოებრივი უშიშროების პოლიცია.

2004 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონაგის დროს გაძლიერდება კონგროლი პორგუგალიაში ჩასული გურისგებზე. ფიქრობენ, რომ ამ დროს დროებით შეაჩერონ შენგენის შეთანხმების მოქმედება ქვეყნის გერიგორიაზე.

ჩოგბურთელებო, უფრთხილდით დოპინგს!

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ, ალბათ, ახლა დაწყებულ სეზონში ორჯერ გაბრდის დოპინგ-სინჯების რაოდენობას. როგორც ასოციაციის ხელმძღვანელმა მარკ შაიდლმა განაცხადა, 2002 წელს გურნირებზე მოთამაშეებიდან აიღეს 950 სინჯი. მისი აზრით, ეს რაოდენობა წელიწადში 1900-მდე უნდა გაიზარდოს, ყოველმა ჩოგბურთელმა წლეულს სულ ცოგა 8,6 სინჯი უნდა ჩააბაროს, 2001 წელს, 7,4 სინჯის ნაცვლად. ყოველივე ამაზე უახლოეს ხანში ასოციაციის გენერალურმა საბჭომ უნდა იმსჯელოს.

ამ სეზონში ჩოგბურთელებისაგან აიღებენ როგორც სისხლის, ისე შარდის ანალიზს, რომელსაც გამოიკვლევენ ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სგიმულაგორის – ერითროპოეგინის (ეპო) შემცველობაზე.

სხვათა შორის, დოპინგ-კონგროლს თავისი ჩემპიონებიც ჰყავს. ბასულ სეზონში „ლიდერობდა“ რუსეთელი მარად საფინი. მას 14-ჯერ აუღეს სინჯი. 2001 წელს კი ეს „პაგივი“ ერგო ფრანგ ფაბრის სანგოსოს – მან 11-ჯერ ჩააბარა შარდი.

ასოციაციის თავეკაცმა გაამფრთხილა სპორგსმენები – ფრთხილად მოექცნენ საკვების „დანამატებს“, რაშეც შარშან „დაიწვა“ არგენგინელი გელმერო კანიასი.

რასაკვირველია, გამონაკლისი არ იქნება ავსგრალიის ღია ჩემპიონაგიც, რომელიც ორშაბათს დაიწყო. დოპინგ-შემოწმება, შეიძლება, ნებისმიერმა ჩოგბურთელმა გაიაროს.

ამ გურნირის შესახებ ბოგი რამ გუშინ უკვე გაგცნობეთ. დავამაგებთ, რომ პირველ წრეში დაამარჯვა პროფესიონალ ჩოგბურთელთა ლიდერმა პიუგმა. მისი პაექრობა შვედ ლარსონთან ძალზე დაძაბული გამოდგა – 6:3, 3:6, 6:1, 6:7, 6:2. პირველი, არცთუ იოლი გამარჯვება იმეამ ქალთა ლიდერმა სერენა უილიამსმაც, რომელმაც ფრანგი ლუა დაამარცხა 3:6, 7:6, 7:5.

სპორტის რედაქცია

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ალბომი

ექელას რაიმე აქეს სახსოვარი

საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკური ფაკულტეტის 1954 წლის კურსდამთავრებულთა ერთი ჯგუფი, რომლებიც ინსტიტუტის დამთავრების 25 წლისთავის აღსანიშნავად 1978 წელს იმყოფებოდნენ ქ. ბორჯომში ჯგუფხელ ნოდარ გელაშვილის მიწვევით.

მოგვაწოდა ქეთინო ბეთლემიძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა.

ლიმილის დოზა

რუსი კაცი სვამს სამ შუმთხვევაში: როცა ცუდად არის — სიმწრის გამო, როცა კარგად არის — სიხარულის გამო, როცა ყველაფერი ნორმალურია — მოწყენილობის გამო.

* * *

ცოლი ქმარს ეუბნება:
— გემუდარები, ნუ იღებავ ულვაშებს!
— მიტყობა რამე?
— შენ — არა, შენს მდივანს — კისერზე.

მე და ჩემმა ცოლმა ვიცით, როგორ უნდა შეიქმნას მტკიცე ოჯახი:
— ორ კვირაში ერთხელ ერთად მივდიგართ კარგ რესტორანში, ვსვამთ კარგ ღვინოს, მივირთმევთ საუკეთესო კერძებს. იგი იმ რესტორანში ოთხშაბათობით დადის, მე — ხუთშაბათობით;
— სხვადასხვა საწოლებში გვძინავს: მას — მოსკოვში, მე — პეტროგრადში;
— მაღაზიებში ხელიხელჩაკიდებულები დავდიგართ, როგორც კი ხელს გავუშვებ, ფულის ხარჯვას იწყებს.
— ერთხელ სახეზე ტალახის ნიღაბი გაიკეთა. ორი დღე მის ნახვას არაფერი სჯობდა. შემდეგ ნიღაბი მოიცილა.

* * *

მეცნიერება ბოლოდროინდელი გამოკვლევებით სიგარეტის მოწევა, ლოთობა, ცხოვრების უმოძრაო წესი მკვეთრად აძცირებს სიცოცხლის ხანგრძლივობას.

ამასთანავე, გაირკვა, რომ სირბილს დილაობით, ჯაბნახალი საკვების მიღებას, მაგნე ჩვენებისთვის თავის დანებებას შეუძლია გაგიხანგრძლივოთ თქვენი გაუბედურებული არსებობა.

* * *

საინტერესო კითხვები:
— ატომური ბომბის აფეთქებით შექმნილი მაგნიტური ველი წამიშლის თუ არა ყველა ჩემს ვიდეოჩანაწერს?
— ბალერინები ყოველთვის თითის წვერებზე ცეკვავენ, განა უფრო მარტივი არ იქნებოდა, რომ დასში მაღალი ბალერინები მიეწვიათ?
— თუ მსურს ახალი ბუმერანგის შეძენა, ძველი როგორ მოვიცილო?
— თუ იფუნქციონირებს კოსმოსური ხომალდის სინათლის ფარები, მაშინ, როცა ეს ხომალდი სინათლის სიჩქარეს განავითარებს?

თითქმის ნატურიდან

საშიში მკურნალობა

გუშინ მეგობრის ოჯახში ამერიკელი პოლიტოლოგ-სკლეროზისტი ჯორჯ მაკკელანი გავიცანი. მართალია ინგლისური არ ვიცი, მაგრამ სგუმარი ქართულად ისე ლამაზად ჭიკჭიკებდა, მასთან საუბარი სულაც არ გამიჭირდა.

— კაცი დავბერდი, — წამოვიწყე მე, — და ასეთი პროფესიის ადამიანი — ერთდროულად პოლიტოლოგი და სკლეროზისტი — ჯერ არ მემხვედრია.

არ მიკვირს, — თქვა თავმდაბლურად ჯორჯმა, — პოლიტოლოგ-სკლეროზისტებს ხომ მთელ მსოფლიოში მხოლოდ ვირჯინიის უნივერსიტეტი ამზადებს.

— ვიცი, ვიცი, აღიარებული სასწავლებელია, ალბათ ამის აუცილებლობა შეიქმნა, თორემ ტყუილუბრალოდ არ გაირჯებოდა.

— რა თქმა უნდა, — ოვალური თავი დამიკანკურა ჯორჯმა, — იმის გამო, რომ პოლიტიკოსთა ერთ ნაწილში სკლეროზის ეპიდემიამ იფეთქა, ბევრ ქვეყანაში არასტაბილურობის სამიმროება შეიქმნა.

— აბა კაცო, — სიტყვა ბანზე ავუგდე,— თურმე რეიგანსაც კი იმდენად უმტკივნა მეხსიერებამ, რომ გაიძახის, მე კომუნიმმს ვესროდი და შემთხვევით რუსეთს მოხვედრიაო.

— არა მგონია, რეიგანს შემთხვევით ვინმესთვის რამე მოერტყას, მოგი თქვენებური პოლიტიკოსი კი სიტყვებს ისე დაუფიქრებლად ისვრის, მგონი პირველ რიგში საკუთარ რეიტინგს ურტყამს.

— და თქვენ ფიქრობთ, რომ ეს სკლეროზის გამოისობით ემართებათ?

— მარტო მე კი არა, მაგათ ვინც მოუსმენს, ყველა ასე იფიქრებს.

— რას გულისხმობთ, იმას ხომ არა, მოგი თავის დროზე მოქკავმირის ლიდერობას რომ ჩემულობდა, ახლა კი ამტკიცებს ამ პარტიის წევრი არასოდეს ვყოფილვარო?

— მიმიხვდით, რაც უნდა მეთქვა.

— ასეთები, ბაგონო ჯორჯ, თითქმის ყველა პარტიაში არიან, წარმოიდგინეთ აღორძინებამდე, ლეიბორისტებსა და ტრადიციონალისტებშიც კი (ისინი ადრე შედარებით კარგი მეხსიერებით გაიმიორჩეოდნენ), რომ აღარაფერი ვთქვათ ჯერ უწვერულვაშო ნაციონალისტებზე.

— ამ უკანასკნელთ, როგორც შევიტყვე, დროშობანას ავადმყოფობაც შეყრიათ, რაც, ვფიქრობ, კიდევ უფრო გაართულებს მათ მკურნალობას.

— დროშები რამდენიც უნდა გამოკიდონ, ნეგავ ერთმანეთს მაინც არ აგინებდნენ.

— რას ლაპარაკობთ, — დაინტერესდა ჯორჯი, — თავიანთი გამმრდელი პარტიების სახელი დავიწყდათ და საგინებელი სიტყვები არა?

— პარტიებს ვინ ჩივის, მეხსიერება იმდენად დაუქვეითდათ, რომ პრეზიდენტის ამაგიც კი აღარ ახსოვთ. ადრე მის ფოთებქვეშ იყენენ შემძერალნი, ახლა კი აგინებენ.

— ამაზე პრეზიდენტი რას ამბობს?

— ხომ იცით, მისი დიდსულოვნების ამბავი, საკუთარ თავს ადანაშაულებს — ეტყობა, ყმაწვილკაცობაში ხელი დავაკელი და სრულასაკოვნებაში სკლეროზი ამიტომ განუვითარდათო.

— ერთმანეთს რომ აგინებენ, ეგ ვიღას ბრალია?

— რა მოგახსენოთ, ისე, მეაძლება კაცმა იფიქრო, რომ სკლეროზი არცა სჭირთ, უბრალოდ ხალხის მოტყუება უნდათ.

— რაზე შეატყვევთ?

— მარგო საკუთარი წანახელი ავიწყდებათ, სხვების დამანგრეველი საქმეები კი მშვენივრად ახსოვთ.

— აგამენა ღმერთმა, — გამოცოცხლდა ჯორჯი, — კიდევ კარგი შეგხვდით, თორემ სწორი დიაგნოზის დასმა გამიჭირდებოდა.

— ახლა შეძლებთ?

— რა თქმა უნდა. უკვე ვიცით, რომ მათ პირადად ნაფუჭები საქმეების გახსენების უნარი აქვთ დაკარგული და ჩვენც სწორედ ამ განსრით ვუმკურნალებთ.

— მარგო რაც გაბფუჭეს კი არა, საკუთრივ რაც მეჭამეს, ისიც აღარ ახსოვთ.

— ეგ ცალკე მკურნალობას არ ექვემდებარება, უბრალოდ წამლის დოზა გაიმრდება.

— და თქვენ გგონიათ, რომ განიკურნებიან?

— ეჭვიც არ მეპარება. მალე ამერიკელი პოლიტოლოგ-სკლეროზისტები ქართველ სპეციალისტებთან ერთად პარლამენტში და არასამთავრობო ორგანიზაციებში მუქმნიან ერთობლივ სამუშაო ჯგუფებს, რომლებიც მეხსიერებადაქვეითებულ პოლიტიკოსთა გვინმი აღიდგენენ იმ უჯრედთა მოქმედების უნარს, რომლებიც მათ მიერ ნაღვაწ ქვეყნის დამანგრეველ საქმეთა ნუსხას ინახავენ.

— მაინც ფრთხილად უნდა იყოთ, — ვურჩიე ბაგონ ჯორჯს, — ისე არ მოხდეს, რომ წამლის არასწორმა დოზირებამ მათ საკუთართან ერთად სხვების მიერ ნაფუჭები საქმეების გახსენების უნარიც დაუკარგოს, თორემ დავიღუპებით.

— რას გულისხმობთ? — შემფოთდა პოლიტოლოგ-სკლეროზისტი.

— იმას, რაც რეალურად მოხდება — ხელისუფლებას ოპოზიცია აღარ ეყოლება და წვითა და დაგვით ნაშენები დემოკრატია ხელიდან გამოგვეცლება.

ოთარ ხუციშვილი.

გვწერენ

გვიმრავლოს კეთილი ადამიანები

ძვირფასო რედაქცია, **თქვენს გაზეთში ბევრჯერ წამოკითხავს კეთილი ადამიანების შესახებ, მეც გამოვიყენე რას ნიშნავს თანადგომა და სიკეთის მადლი. ამიტომ მეც მინდა დიდი მადლობა გადავუხადო იმ კეთილ სალხს, რომლებმაც გულთან მიიტანეს ჩემი და ჩემი ქალიშვილის, ოთხი შვილის დედის ციცინო ბუაძელოსაბერიძის მძიმე მდგომარეობა და უკიდურესი გაჭირვების ჟამს დახმარების ხელი გამოგვიწოდეს.**

უკვე ოთხჯერ ყბა-სახეზე ნაოპერაციევი და კვლავ მძიმე ავადმყოფი ჩემი შვილი (მანამდე ორი ოპერაცია გყიბულში, ორიც ქუთაისში გაუკეთეს) თბილისში ჩამოვიყვანე. მას კვლავ ყბა-სახის სასწრაფო ოპერაცია სჭირდებოდა. ოპერაციისთვის საჭირო იყო 500 ლარი. ჩვენ კი არაფერი გვებადა. მივედი ბაგონ ნიკო ლეკიშვილთან, ვუთხარი ჩვენი ამბავი და იმ დღოცვილმა 200 ლარი ხელზე მომცა, შენ შვილსა და შვილიშვილებს მოახმარეო და 500 ლარი კი საავადმყოფოს გადაუჩიცხა. ასე დამეხმარა ის დალოცვილი და თან გულში იმედი ჩამისახა, რომ არსებობენ ისეთი ადამიანები, ვისაც სხვათა ჭირის გაზიარება ძალუძთ.

ახლა კი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ყიფშიძის სახელობის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ღვთისნიერ ექიმებზე უნდა მოგახსენოთ, სადაც ჩემი შვილი დავაწვინეთ. ამ საავადმყოფოში ოთხ თვეს იწვა ჩემი შვილი (სექტემბერში, ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში), სადაც მას კიდევ ხუთი ოპერაცია დასჭირდა. ოპერაცია პროფესორმა ზურაბ გვენეტაძემ გაუკეთა, მას ეხმარებოდა ქირურგი გიორგი ლაგვილავა. ისინი ჩემს შვილს ოპერაციის შემდგომაც თავს ევლებოდნენ, ანუგეშებდნენ. მათ და მთელ მედპერსონალს 4 თვის განმავლობაში ჩვენთვის წამლები და სასმელ-საჭმელი მოაქონდათ. ჩემი შვილი უკვე გამოწერეს, ახლა უკეთ არის. ბაგონებმა ზურაბ გვენეტაძემ და გიორგი ლაგვილავამ, გეგონებათ მანამდე რაიმე დაეკლოთ ჩემი შვილისათვის, საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ გამოაცილეს, 50 ლარიც აჩუქეს და ბოლო ოპერაციისათვის წლეულს, აპრილში დაიბარეს. დიდი მადლობა მათ და მთელ მედპერსონალს მაღალი პროფესიონალიზმისა და გულმოწყალებისათვის.

ასევე მადლობა მინდა მოვახსენო კეთილ ადამიანებს, ისანი-სამეორის რაიონის გამგეებლის მოადგილეს ქალბაგონ მანანა გოჩალეიშვილს და ბაგონ ვახიკო წამალაძეს, ვიღაცას მათთვის ჩემი მდგომარეობის შესახებ ემცნო. დამიბარეს და (როცა ერთი თვთრიც აღარ მქონდა) ასი ლარით დამეხმარნენ.

დიდი მადლობა ყველას, ვინც ჩემი და ჩემი შვილის მიმართ თანადგომა გამოხაგა. მადლობა მათ დახმარებისა და იმედისათვის. ღმერთმა გვიმრავლოს კეთილი ადამიანები.

ანგელინა ბუაძე.

ბრემიერის წინ

ვიდრე პილატე განიწმინდებოდეს

დღეს პრემიერაა, კოგე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში წარმოდგენილი იქნება სპექტაკლი „პილატე“, რომელიც ცნობილი რუსი მწერლის მიხეილ ბულგაკოვის გახმაურებული რომანის „ოსტატი და მარგარიტის“ მიხედვით არის შექმნილი (გივი კიკლაშვილის თარგმანი). კონკრეტულად მაყურებელი სცენაზე ისიანეს რომანში ჩართული სახარებისეული თავის ინსცენირებას. როგორც მ. ბულგაკოვის შემოქმედების მკვლევარები ამბობენ, ეს არის „რომანი რომანში“ და იგი ძალზე დიდ როლს ასრულებს მთელი ნაწარმოების გაგებაში. ისიც ცნობილია, რომ მწერალი სახარებისეულ მასალას თავისებურად ამუშავებს, რათა საკუთარი თვალთახედვა და საკუთარი სათქმელი გამოამჟეურის.

სწორედ რომანის ამ ნაწილმა დააინტერესა სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი თემურ ჩხეიძე და მასთან ერთად ინსცენირების ავტორი, დრამატურგი და მთარგმნელი თამაზ გოდერძიშვილი. ამ ორი შემოქმედის წარმატებული თანამშრომლობის შედეგი ჩვენს მაყურებელს სხვადასხვა დროს ბევრჯერ უნახავს მარჯანიშვილის სცენაზე.

ამჯერად, როგორც ინსცენირების ავტორმა თამაზ გოდერძიშვილმა ბრძანა, სადადგმო ჯგუფის ყურადღება მიიქცია რომანში ჩართული თავის ბულგაკოვისეულმა გაამრებამ. მთავარი გმირია პილატე. იემუა პანოცრი არ არის ქრისტე და ეს მწერალმა კარგად იცის. მწერლისეული ვარიანტი გაიზიარეს სპექტაკლის დამდგმელებმაც.

— ჩვენი მიზანი იყო, — ამბობს ბაგონი თამაზი, ყურადღება გამახვილებულიყო კითარმისმე, სულის განწმენდაზე, პილატეს ადამიანად მოქცევაზე. პილატეს ეყო გამჭრიახობა ამოეცნო ვინ იდგა მის წინაშე იემუა პანოცრის სახით, მაგრამ მხდალი და მმიმარაა და იემუას ბოლო სიტყვები — „ამქვეყნად ყველაზე დიდი ცოდვა სიმხდალეა“— გვიან აცნობიერებს... და თუ როგორ, ამას ნახავთ დღეს სალამოს პრემიერაზე.

სპექტაკლში როლებს ასახიერებენ ოთარ მეღვინეთუხეცესი, მაზა იაკაშვილი, ნოდარ მგალობლიშვილი, გია ბურჯანაძე, დავით დვალიშვილი, ბაალ ჩიქოვავა, აკაკი მესაბლიშვილი, დიმიტრი გაგიშვილი, ნინაკა გელაშვილი, ნიკა თავაძე...

სპექტაკლის მხატვარია იური გეგეშიძე, წარმოდგენაში ჟღერს კომპოზიტორ გია ყანჩელის მუსიკა, ქორეოგრაფია კახა ბაკურაძე.

რუსუდან მუსიგულაშვილი.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე შეგი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის პონორარი არ გაიცემა.

ძველმოძმეობა

საპატრიარქოს საახალწლო საჩუქარი ბავშვებს

საპატრიარქოს ახალგაზრდული ფონდის „ძლევაის“ ინიციატივით 14 იანვარს ბავშვთა სახლების აღსაზრდელებისა და ინვალიდი ბავშვებისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმო დარბაზში გიმართა საქველმოქმედო კონცერტი. დასასრულს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევის შემდეგ ბავშვებმა მიიღეს საჩუქრები, ხატები და ლოცვის წიგნები.

ფონდი „ძლევაი“ მსგავს აქციებს კვლავაც გეგმავს. მისი ინიციატივით უახლოეს მომავალში გიმართვა ობოლი ბავშვების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდება ბავშვთა სახლებს და ინვალიდ ბავშვებს.

საქინფორმი.

მარადი ანასაშვილი სამმიმარს უცხადებს ქალბაგონ თინათინ მაღლაკელიძეს დედის
ნადია მაღლაკელიძის
გარდაცვალების გამო.

სულიკო და თამაშ პაველიაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი უახლოესი ნათესავი
ნოდარ იაკობის ძე ხუნაშვილი
პანაშვიდი 16, 17 I, 4 სთ., დაკრძალვა 18 I, 2 სთ., საგარეჯოს რაიონი, სოფელი კაკაბეთი.

სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი სოლომონ პაველიაშვილი და სამინისტროს მთელი კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ნოდარ ხუნაშვილი
და სამმიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო სამმიმარს უცხადებს რევაზ თაბუკაშვილს მამის
გიორგი თაბუკაშვილის
გარდაცვალების გამო.

ქ. თბილისის ავლიპ ზურაბაშვილის სახელობის ფსიქიატრიული საავადმყოფოს კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვალწლმოსილი მუმაკი
ქორქი (ქორა) ველიაქმნისის ძე რამიშვილი
და სამმიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მსს საგამოძიებო დეპარტამენტის ქ. თბილისის საგამოძიებო სამმართველო სამმიმარს უცხადებს ამავე სამმართველოს უფროს გამომძიებელს გია რამიშვილს მამის
ქორქი რამიშვილის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის თანამშრომლები სამმიმარს უცხადებენ ამავე სამსახურის უფროსს დავით რამიშვილს ბიძის
ქორქი (ქორა) რამიშვილის
გარდაცვალების გამო.

შვილი ზოია მეგვრიშვილი, სიძე ომარ გაბრიჩიძე, შვილიშვილები ნინო, გიორგი გაბრიჩიძეები ოჯახებით, ძმები ოთარ, ევგენი ხაჩიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ელენე იოსების ასული ხაჩიძე
პანაშვიდი 16, 17 I, 4 სთ., გამოსვენება 18 I, 2 სთ., ფანასკერტელის ქ. (ბახტრიონის ქუჩის გაგრძელება) № 15 კორპ., ბინა 31.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატი სამმიმარს უცხადებს სამედიცინო ქიმიის კათედრის გამგეს, პროფესორ ომარ გაბრიჩიძეს სიდედრის, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის, პერსონალური პენსიონერის, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის
ელენე ხაჩიძის
გარდაცვალების გამო.

პოლიტიკური გაერთიანება „გაერთიანებული დემოკრატების“ თბილისის საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები სამმიმარს უცხადებენ ბაგონ ვაჟა მარტიაშვილს მამის
ვასილ მარტიაშვილის
გარდაცვალების გამო.

მეუღლე ზემფირა გოროზია, შვილები ზვიადი, ზურაბი, ნინო, ძმები ვალერიანი, ვლადიმერი, გიორგი, ომარი, რძლები თეონა ფრანგიშვილი, გულნარა გაბელია, გული ხარჩილავა, ღონარა ბაძაღუა, სიძე ილია კალანდარიშვილი, შვილიშვილი ანი კალანდარიშვილი, ცოლისდები ივეტა, ციცო გოროზიები, ქვისლები რამაზ კუდაშვილი, ცეზარ ვაჩაძე, ძმისშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ბიბლა რაჟდენის ძე ახალაია
პანაშვიდი 15 I, 4 სთ., დაკრძალვა 16 I, 2 სთ., ყიფშიძის ქ. 6, II სადარბაზო.

სააქციო საზოგადოება „კავკასელექტროქსელმშენის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სააქციო საზოგადოება „საქიდროენერგომშენის“ გენერალური დირექტორის მოადგილე
ბიბლა ახალაია
და სამმიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სამოქალაქო მონაწილეობის გრანტების პროგრამა

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამის ფარგლებში ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ (Save the Children), პროგრამის მმართველი კომიტეტის სახელით, აცხადებს კონკურსს სამოქალაქო მონაწილეობის გრანტების მისაღებად. აღნიშნული გრანტის ფარგლებში დაფინანსდება კონკრეტულ პრობლემებზე მიმართული სამოქალაქო ინგერესების დაცვის კამპანიები.

კონკურსთან დაკავშირებული მასალებისა და დოკუმენტების მიღება ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე:

თბილისი
ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ ბარათაშვილის ქ. 8. ტელ: 996400, 995454. ელ. ფოსტა: scgeorgia@save.org. ge. საკონტაქტო პირი: ნაგა მელიქიშვილი.

ქუთაისი
გაეროს ასოციაციის ოფისი, რუსთაველი ქ. 3, მერიის შენობა, პირველი სართული. ტელ: (8 231) 41014, 44266, 877 780406 (მობილური). ელ. ფოსტა: iliko. info@posta. ge. საკონტაქტო პირი: ილიკო ნაცვალაძე.

ბათუმი
ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი „ინტელექტი“. რუსთაველის ქ. 25. ტელ: (888 222) 77126, 899 507895 (მობილური), ელ. ფოსტა: ysu@gol. ge საკონტაქტო პირი: ლევან გობაძე.

გორი
გაეროს ასოციაციის რეგიონალური ოფისი. სტალინის ქ. 24, ტელ: (8 270) 23980, 899 165150 (მობილური). ელ. ფოსტა: idprcg@gol.ge. საკონტაქტო პირი: მაზა მინდიაშვილი

ოზურგეთი
ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი. ჭავჭავაძის ქ. 3. ტელ: (8 296) 64485. ელ. ფოსტა: infoguria@iberiapac.ge. საკონტაქტო პირი: ლევან მეკავანაძე.

ზუგდიდი
ასოციაცია „ათინათი“. რუსთაველის ქ. 94. ტელ: (8 339) 50056, 877 470016 (მობილური). ელ. ფოსტა: atinati@iatp. org.ge. საკონტაქტო პირი: ივეტა როდონაია.

ამბროლაური
რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის საკრებულოთა ასოციაცია. თამარ მეფის ქ. 1. ტელ: (8 239) 21534, 899 586207 (მობილური). საკონტაქტო პირი: ნანა სოხაძე.

ლაგოდეხი
საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია. კოსტავას ქ. 14. ტელ: (8 254) 23703, 50050. საკონტაქტო პირი: კახა ჯამბურია.

თელავი
ფონდის „ჰორიზონტი“ ოფისი. ლაღიძის ქ. 1, ჩიხი 1, ტელ: (8 250) 31634. ელ. ფოსტა: hor_telavi@iberiapac.ge. საკონტაქტო პირი: ლევან როსტომაშვილი.

ახალციხე
დემოკრატ მესხთა კავშირი. რუსთაველის ქ. 26, ტელ: (8 265) 21033, 21223, 899 572669 (მობილური). ელ. ფოსტა: meskheli@posta.ge. საკონტაქტო პირი: ამირან მესხელი

ელექტრონული ვერსიების ჩამოტვირთვა შესაძლებელია შემდეგი ვებ საიტებიდან:

http://www.advocacy.ge
http://www.assistancegeorgia.org. ge
http://www.civil.ge
http://www.jobs.ge
http://www.cipdd.org
http://www.horizonti.org
http://www.pic-alternative.com

განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადაა 2003 წლის 28 თებერვლის საღამოს 5 საათი. გთხოვთ განაცხადები წარმოადგინოთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ბარათაშვილის ქ. 8, ფედერაციის „გადავარჩინოთ ბავშვები“ ოფისი. საკონტაქტო პირი: ნაგა მელიქიშვილი. დაგვიანებით შემოსული განაცხადები არ განიხილება.

იანვრის ბოლოს ჩაგარდება საკონსულტაციო შეხვედრები, რომელთა შედეგები ზემოთ მითითებულ ვებ საიტებზე გამოქვეყნდება.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით მოქალაქეთა ინტერესების დაცვის პროგრამის კოორდინატორს ანი დოლიძეს ტელეფონით 996400, 995454 *ან ელ. ფოსტით:* ani@save.org.ge.

კრიმინალი

დაკავებულია მბარცველთა ჯგუფი

თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დაკავეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები - ქუთაისში მცხოვრები 1978 წელს დაბადებული ნიკოლოზ ძიმისგბრაშვილი, რუსთავში მცხოვრები 1983 წელს დაბადებული ალექსანდრე აგაჯანოვი, გალში მცხოვრები 1980 წელს დაბადებული თეიმურაზ თვალაბეიშვილი, ჭიათურის რაიონში მცხოვრები 1985 წელს დაბადებული ბაზა ჩეტკოვი, ახმეტის რაიონში მცხოვრები 1979 წელს დაბადებული რევი მათანაძე, ხელვაჩაურის რაიონში მცხოვრები 1972 წელს დაბადებული გულნარა ბარცოვა და სამგრედიაში მცხოვრები 1979 წელს დაბადებული ნათია ჯულაღიძე. ჯგუფის წევრები 5 იანვარს აღმამენებლის პროსპექტზე თავს დაესხნენ გარდაბნის რაიონში მცხოვრებ 1963 წელს დაბადებულ ზურაბ მამულაშვილს, მიაყენეს მას სხეულის დაზიანება, გასტაცეს 1900 ლარი და 85 დოლარი.

გამოძიებას აწარმოებს პროკურატურა.

საქინფორმი.

სუდანის მოქალაქე — საკანში

თბილისში დააკავეს ჭავჭავაძის გამზირის №25-ში დროებით მცხოვრები სუდანის მოქალაქე მაპმუდ აბდურაპმანი.

მას პოლიციამ სარეალიზაციოდ გამზადებული, რამდენიმე პაკეტად დაფასოებული ჰეროინუმი ჩამოართვა, რომელიც აბდურაპმანმა მოსკოვის გამზირზე მცხოვრებ ვინმე ჯამბულატოსაგან შეიძინა.

განხორციელებული ოპერატიული ღონისძიებით, სამართალდამცავებმა იმავე დღეს დააკავეს სამრეწველო დასახლების პირველი ქუჩის მე-4 დასახლებაში მცხოვრები, ორჯერ ნასამართლევი ჯამბულატ მურადოვი, რომელსაც ასევე აღმოაჩნდა დაფასოებული ნარკოტიკი ჰეროინუმი.

ფაქტთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს.

საქინფორმი.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნოერის მორიგე რედაქტორი
ბექა ჭედია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24. სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13. ელექტრონული ფოსტა — saktresp@gol.ge

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რეინიგზის ჩიხი 20.